



# ახალი ბუნათელეს

2013 წელი, 19 - 25 სექტემბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№26 (620) ბაშოლის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



საქართველოს ყველა მოსწავლეს, მასწავლებელს, სკოლების ადმინისტრაციასა და მშობლებს ვულორავ ახალი სასწავლო წლის დაწყებას! განსაკუთრებულად ვულორავ პირველკლასელებს, იმ პატარა მოსწავლეებს, რომელთა წესის პირველად შედგენა ფეხი სკოლაში და ყოველთვის ემახსოვრებათ ეს დღე და ეს გარემო. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ დღევანდელი საზეიმო და ამბლებული განწყობა მათ მთელი წლის განმავლობაში გააყვებ.

მართალია, წინ ყველას დიდი შრომა გველის, მაგრამ მზად ვართ გემსახუროთ, ყველა პირობა შევიქმნათ და ხელი შევიწყობთ ნარმატებების მიღწევაში!

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტულია განათლების ხარისხის უზრუნველყოფა. სამინისტროს მიზანია, სრულფასოვანი განათლება მიიღოს ყველა მოსწავლე, განურჩევლად იმისა, რომელი რეგიონში სწავლობს, ყველა სკოლას თანამედროვე და კეთილმოწყობილი გარემო, საერთაშორისო სტანდარტების სპორტული დარბაზები, ბიბლიოთეკები, ინფორმაციული ტექნოლოგიების კანტინეტები და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, კომფორტული სასკოლო ავტო და ახალი ინვენტარი ჰქონდეს.

ვიზრუნებთ, რომ მასწავლებლის პროფესია საამაყო გახდეს და ყველა მოსწავლე შესაძლებლობის ფარგლებში ნარმატებებს მიაღწიოს.

მჯერა, ბევრი მოსწავლე თუ მასწავლებელი საკუთარი მიღწევებით გავახარებ!

თამარ სანიკიძე  
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

## 2013-14 სასწავლო წლის სიხსლავები



გვერდი 3

სკოლის სახელმძღვანელოების (მოსწავლის ნიშნისა და დახმარება ლიბრარების გამოყენების ზოგადი წესი და პათი მოვლა-პატრონობის უფასოების კრიტერიუმები

გვერდი 4

აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობა და პირობები

გვერდი 5



სკოლის  
გამოსახვები  
გამომცდები

ბთაჰაზოგთ  
ბუნებრივი  
დავალებების  
ნიშნავს

ბიოლოგია, ქიმია

გვერდი 6-9



შემოგვეპარა სექტემბერი და სხვანაირად ახმაურდა ვირტუალური სამყაროც... ვკითხულობ ჩემი კოლეგების პოსტებს და ვხვდებით, როგორ ბავშვებივით, თუ მეტად არა, უხარიათ სასწავლო წლის დაწყება.

შეიძლება იფიქროს, ინუნიონი, იბუზუნონ...

შეიძლება ყოველდღე უსაყვედურონ სახელმწიფოს და საზოგადოებას იმის გამო, რომ ყველაზე დაუფასებელი პროფესია გვაქვს...

შეიძლება მთელი წელი ნისიად იცხოვრონ ხელფასიდან ხელფასამდე, მართლა კაპიკები ითვალონ...

მაგრამ სექტემბრის მობრძანება ყველაფერს გვაგონებს, რადგან ყოველ სექტემბერთან ერთად მოდის სიყვარული, სიხარული და მუდმივი ახალგაზრდობა.

ნებისმიერი წარმატებული გაკვეთილი სიხარულის წყაროა... რა გაკვეთილი, ზოგჯერ, ყველაზე ცუდლუტი მოსწავლის მიერ სწორად მიგნებული და ნათქვამი ფრაზაც კი საკუთარი შრომის ფასეულობაში გვარწმუნებს...

სექტემბერი მასწავლებლისთვის მუდმივი ზრდის და მარადიული ახალგაზრდობის სიმბოლოა...

თუ მასწავლებელი 18 წლის ასაკს ასცდა, ის სკოლაში აღარ დარჩება...

ჩვენ მუდამ ახალგაზრდების ცხოვრებით ვცხოვრობთ, მათი ინტერესებით, მათი მისწრაფებებით, მათი მიზნებით...

ჩვენ მათ ვასწავლით გალაკტიონს და ბულგაკოვს, ისინი გვასწავლიან სხვაობას ვინდოუსსა და ანდროიდს შორის...

ჩვენ მათ მოთმინებასა და ფიქრს ვასწავლით, ისინი კი - რისკსა და შეუპოვრობას...

ამიტომ სანამ ჩვენ ვასწავლით და ჩვენ ვსწავლობთ, ჩვენ არ ვბერდებით!

ძვირფასო კოლეგებო, მასწავლებლებო და მოსწავლეებო, გილოცავთ, გილოცავთ, გილოცავთ კიდევ ერთ ახალ სასწავლო წელს! ძიებებით, მიგნებებით და მიღწევებით სავსე ყოფილიყოს ეს წელი ჩვენთვის!



პატივისცემითა და სიყვარულით, თქვენი ინბა ბაბრატინი

ინფორმაცია

მინისტრმა სტუდენტებს მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები გააცნო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე თბილისის სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა 200 სტუდენტს შეხვდა და უმაღლესი განათლების მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი სახელები გააცნო.



წელს პირველად, სოციალური პროგრამის ფარგლებში:

- ორჯერ მეტი სტუდენტი დაფინანსდება - 2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებისთვის 2 560 000 ლარია გამოყოფილი, გასულ სასწავლო წელს ეს თანხა 1 118 208 ლარს შეადგენდა;

- დაფინანსდებიან 2011-2012 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე;

- დაფინანსდებიან მაგისტრანტებიც. 2013-2014 სასწავლო წელს ჩარიცხულ მაგისტრანტთა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსებისთვის 205 000 ლარია გამოყოფილი.

წელს პირველად, სახელმწიფო დაფინანსებს:

- დოქტორანტურაში სწავლას, რაზეც მილიონი ლარია გამოყოფილი;

- პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ბიუჯეტი.

სამინისტრო ასევე ახორციელებს ისეთ მნიშვნელოვან პროექტებს, როგორცაა:

- მობილობის ფარგლებში, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში უმაღლეს სასწავლებლებში (მომწვევი სახელმწიფოების დაფინანსებით);

- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო-კვლევითი გრანტებით დაფინანსება;

- სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის 2013-2014 სასწავლო წლის ზამთრისა და ზაფხულის სკოლების ორგანიზება ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკის, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით;

- სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის აუცილებელი წიგნადი ფონდის/ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლებისა და სრულყოფის დაფინანსება და სხვ.

გინვესტი კურსებზე

თბილისის დამოუკიდებელ სასწავლო უნივერსიტეტთან იქმნება საჯარო სკოლების პედაგოგთა (როგორც თბილისის, ისე რაიონების) კვალიფიკაციის ასაბაღლებელი კურსები, რომლის ხანგრძლივობა 3 თვეა. კურსების გავლით მასწავლებლები გარანტირებული იქნებიან წარმატებით გადალახონ სასარტიფიკაციო გამოცდები. კურსების გავლა შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე რუსულ და ინგლისურ ენაზე, რომელიც ჩატარდება პედაგოგისათვის მოსახერხებელ დროს. სწავლის გადასახადი ხელმისაწვდომია. სწავლა დაიწყება ა.წ. 1 ნოემბრიდან.

ამასთანავე, უნივერსიტეტი გრძობდა გადმოყვანის წესით სტუდენტთა დამამთავრებელ (III- IV) კურსებზე მიღებას, ხოლო ტურიზმის აკადემიაში - აბიტურიენტთა ჩარიცხვას.

უნივერსიტეტთან, აგრეთვე, იხსნება მოსამზადებელი კურსები (სხვადასხვა საგნებში) საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის უმაღლეს სასწავლებლებში გასაგებების წარმატებით ჩასაბარებლად.

ჩვენი მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №47  
ტელ: 2-93-66-03; 2-93-54-30; 2-99-96-26; 2-99-07-24; 2-98-86-82; მობ: 599-18-89-24

თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტი

აქცენტებს ლიცენზირებულ დანესაბუღებებში 2010 წლის 1 სექტემბერამდე ჩარიცხულ პირთათვის სასწავლო უნივერსიტეტი სწავლის გასაგრძელებლად მიღებას (მოგილოების წესით), შემდეგ სპეციალურ გზაზე:

1. ფინანსები; 2. ტურიზმი; 3. ინგლისური ფილოლოგია; 4. სამართალმცოდნეობა; 5. ჰუმანალისტიკა; 6. მასწავლებლის განათლება; 7. კომპიუტინგები (ინფორმატიკა).

აქვე იხსნება მოსამზადებელი კურსები როგორც საჯარო სკოლის პედაგოგისათვის (კვალიფიკაციის ასაბაღლებელი - 3 თვე), ასევე უმაღლესი ჩაბარების მსურველ მოსწავლეთათვის. გადასახადი ხელმისაწვდომია.

რეკტორი - პროფესორი ამირან მამუკაძე

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №47.  
ტელ: 2-93-66-03; 599-18-89-24; 2-93-54-30; 2-99-96-26;



Since 1961.

Peace Corps მშვიდობის კორპუსი

ა.შ.შ.-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში ინვესტირებულ საჯარო სკოლებს მშვიდობის კორპუსის განათლების პროგრამასთან თანამშრომლობისთვის.

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები ცამეტი წელია წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს საქართველოს რეგიონებში. კონკურსში შერჩეული სკოლები ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებლებთან იშუაპეობენ 2014-2016 სასწავლო წლების განმავლობაში, ინგლისური ენის სწავლების დონისა და სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში: კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი (გარდა გორის ჩრდილოეთით მდებარე სოფლები-სა), სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო (აბაშის, სენაკის, მარტვილის და სოპის მუნიციპალიტეტი), რაჭა-ლეჩხუმი.

თუ თქვენი სკოლა არის ზემოთ აღნიშნულ რეგიონში, ინგლისური ენის მინიმალური საათობრივი გადამხატვან 26 საათს და დაინტერესებული ხართ მოხალისეთან თანამშრომლობით 2014-2016 აკადემიურ წლებში, გაეცანით სინფორმაციო დანართს და დაიტოვეთ სკოლაში, შეავსეთ მოხალისის მოთხოვნის ფორმა (ინგლისურ ენაზე), მასპინძელი ოჯახის განაცხადები (ქართულ ენაზე) და ფორმები მოგვანდით მშვიდობის კორპუსის ოფისში მისამართზე - ვაჟა-ფშაველას გამზირი №29, თბილისი, 0160 ან გამოგზავნეთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე - education@ge.peacecorps.gov

მოხალისის მოთხოვნის ფორმის და სინფორმაციო დანართის მიღება შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ოფისში ან განათლების რაიონულ რესურსცენტრებში.

სკოლის მიერ შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმის მიღების საბოლოო ვადაა 21 ოქტომბერი, 2013 წელი.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით განათლების პროგრამის ხელმძღვანელს: ასათი სიხარულიძე (აღმოსავლეთი) ან თაო ნაზარიძე (დასავლეთი) ტელეფონი: (0 32) 224 12 24; ფაქსი: (032) 239 91 06





სოციალური პროგრამა

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობა და პირობები განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 აგვისტოს N218 დადგენილებით.

2013-2014 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების ოდენობა და პირობები განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 აგვისტოს N218 დადგენილებით.

ა.ე) ხულოს მუნიციპალიტეტში - 24 სტუდენტი;
ა.ვ) შუახევის მუნიციპალიტეტში - 18 სტუდენტი;
ა.ზ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტში - 10 სტუდენტი;
ა.თ) დუშეთის მუნიციპალიტეტში (ბარისახოს, შატილის, ქვეშეთის, მღეთის, მალაროსკარისა და გუდამაყრის სკოლებში) - 10 სტუდენტი;
ა.ი) ადიგენის მუნიციპალიტეტში - 15 სტუდენტი;
ა.კ) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში - 10 სტუდენტი;
ა.ლ) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში - 6 სტუდენტი;
ა.მ) წალკის მუნიციპალიტეტში - 13 სტუდენტი;
ა.ნ) დმანისის მუნიციპალიტეტში - 16 სტუდენტი;
ა.ო) ახმეტის მუნიციპალიტეტში (პანკისის ხეობისა და ზემო და ქვემო ალვანის სკოლებში) - 18 სტუდენტი;
ა.პ) ასპინძის მუნიციპალიტეტში - 10 სტუდენტი.
ბ) 170 სტუდენტი, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამატებითი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ან რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით; ასევე სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამატებითი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, აქედან:
ბ.ა) აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მათ შორის, აჭარის მუნიციპალიტეტში - 90 სტუდენტი;
ბ.ბ) ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები), მათ შორის, ქუთაისი, ერედვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტებში - 75 სტუდენტი;
ბ.გ) საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პურევი - 5 სტუდენტი.
გ) 15 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამატებითი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.
დ) 15 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამატებითი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.
ე) 50 სტუდენტი, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა და უგზოუკვლოდ დაკარგულთა შვილები.
ვ) 5 სტუდენტი, რომლებიც არიან კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები.
ზ) 50 სტუდენტი, რომლებიც არიან ობოლნი (უდემამო).
თ) 100 სტუდენტი, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები.
ი) 30 სტუდენტი, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.
კ) 170 სტუდენტი, რომელთა ოჯახები რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე.
ლ) 50 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამატებითი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის საზღვრისპირა სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.
მ) 16 სტუდენტი, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ (საალმზრდელი საქმიანობის განმარტებულიდან ან მინდობით აღზრდაში) ან გასული არიან სახელმწიფო ზრუნვიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში და იმყოფებოდნენ სახელმწიფო

ზრუნვის ქვეშ მინიმუმ ორი წლის განმავლობაში.
II. სოციალური პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდებიან აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2011 და 2012 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე, აქედან:
ა) 300 000 (სამასი ათასი) ლარი გამოიყოფა 2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსებისთვის.
ბ) 300 000 (სამასი ათასი) ლარი გამოიყოფა 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსებისთვის.
თუ პროგრამით გათვალისწინებული თანხა სრულად არ გაიცა დადგენილებით განსაზღვრული კატეგორიების მიხედვით, იგი გადაეცემათ:
• საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილებს, რომლებიც ჩარიცხული არიან 2005-2012 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა;
• მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც ჩარიცხული არიან 2005-2012 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის, სოციალური პროგრამის ფარგლებში;
• ობოლი (უდემამო) სტუდენტებს, რომლებიც ჩარიცხული არიან 2005-2012 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და ვერ მოიპოვეს გრანტის სრული ოდენობა ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის, სოციალური პროგრამის ფარგლებში.

ინფორმაცია

ქეთევან ნატრიაშვილმა სწავლის დანახა თიანეთელ მოსწავლეებს მიულოცა

თიანეთიდან მიულოცეს ახალი სასწავლო წლის დაწყება მოსწავლეებსა და სტუდენტებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა და თიანეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა.



განხორციელებული სახსენებო და მომავალი პროექტები. თიანეთის რაიონის სოფელ ზარიძეების საჯარო სკოლაში, ზაფხულის განმავლობაში, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა, გამოიცვალა კარ-ფანჯარა, მოწესრიგდა საკლასო ოთახები და სკოლის ეზო. სკოლაში 84 ბავშვი სწავლობს და 20 პედაგოგი მუშაობს. მასწავლებლებიდან 9 სერტიფიცირებულია, 4 პედაგოგს ორიდან ერთი საგანი უკვე ჩაბარებული აქვს. სკოლის დირექტორის განცხადებით, მომავალ წელს ოცივე პედაგოგი სერტიფიცირებული იქნება.

ტრენინგი პირველი კლასის დამრიგებლებისთვის

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, საქართველოს მასშტაბით, პირველი კლასის ყველა დამრიგებელმა სპეციალური, ე.წ. ბუქების, ტრენინგი გაიარა. ტრენინგის მიმდინარეობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი გია მამულაშვილი გაეცნენ. ტრენინგები ორეტაპიანი იყო და რამდენიმე მიმართულებას მოიცავდა: ტექსტურ რედაქტორში მუშაობა; საპრეზენტაციო პროგრამა და კლასის მართვის კომპიუტერული პროგრამის ადმინისტრირება; სასწავლო ვიდეოს შექმნა, ინტერნეტში საგანმანათლებლო რესურსის ძიება და სხვა; 2013-2014 სასწავლო წელს საჯარო სკოლები რამდენიმე სიახლით ხვდებიან:

• გაუმჯობესდა ბუქების ტექნიკური მახასიათებლები (ორჯერ გაიზარდა მყარი მესხიერების ზომა), რაც ბუქების არა მხოლოდ პირველ, არამედ მეორე და მესამე კლასებში გამოყენების საშუალებას იძლევა;
• შეიქმნა ახალი სასწავლო-საგანმანათლებლო თამაშები. თამაშების პაკეტის განახლება/შეცვლა მომავალშიც სისტემატურად განხორციელდება;
• წელს პირველად, ყველა პირველი კლასის დამრიგებელს კლასთან მუშაობისათვის ნაცვლად ბუქისა, ნოუტბუქები გადაეცემათ;
• ყველა საჯარო სკოლაში დამატებითი WiFi როუტერები მონტაჟდება, რაც არა მარტო გაუმჯობესებს ინტერნეტის მუშაობის ხარისხს, არამედ მასწავლებლებს ქსელური მუშაობის საშუალებას მისცემს და სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას უზრუნველყოფს;
• შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმის ინტერაქტიული ვებპორტალი, პროექტის მიზანია: ეროვნულ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული მასალების ერთიანი სივრცეში თავმოყრა და, სხვადასხვა კლასული კატეგორიების მიხედვით, საჭირო ინფორმაციის მოხერხებული ძიების უზრუნველყოფა და ა.შ. პორტალზე განთავსდება საგნობრივი გზამკვლევები, სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებზე ორიენტირებული აქტივობები, სანიმუშო გაკვეთილის გეგმები, დავალებათა კრებულები, სხვადასხვა სახის მეთოდური ლიტერატურა;
• საჯარო სკოლების IT მენეჯერებმა კომპანია „ინტელის“ ტრენინგი გაიარეს, რაც მათი მომსახურების ხარისხს გაზრდის;
• წელს პირველად, დაწყებითი კლასების პედაგოგები „ინტელის“ საგანმანათლებლო კურსსაც გაივლიან.
„1:1 ელექტრონული სწავლების“ დაწესების პირველი ეტაპი ავღიშნულად გაიმართა, ხოლო მეორე ეტაპი ახალი სასწავლო წლის დაწყების შემდეგ ჩატარდება. ტრენინგებში მონაწილეობას, საქართველოს მასშტაბით, სულ 2400-მდე პედაგოგი მიიღებს. გადამზადდება საჯარო სკოლების ყველა ის დამრიგებელი გაივლის, ვინც სექტემბრიდან პირველკლასელებთან იმუშავებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ბიოლოგია

1. სურათზე მოცემულია სიასამურში ბალნის შეფერილობის სეზონური (ზამთარსა და ზაფხულში) ცვლილება. რა ეწოდება ამდაგვარ ცვლელადობას?



ა) მუტაციური	ბ) მოდიფიკაციური	გ) კომბინაციური	დ) ონტოგენეზური
--------------	------------------	-----------------	-----------------

2. მცენარე გულისაბაში F2 -ში მიღებული ჰიბრიდებიდან ჰეტეროზიგოტებია:



ა) მხოლოდ ვარდისფერყვავილიანი
ბ) მხოლოდ წითელყვავილიანი
გ) წითელი და ვარდისფერყვავილიანი
დ) თეთრი და ვარდისფერყვავილიანი

3. მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით განსაზღვრეთ F2 -ში მიღებულ ჰიბრიდებში გენოტიპური დათიშვა.




ა) 2Aa : 1aa	ბ) 1Aa : 2AA : 1aa	გ) 1AA : 2Aa : 1aa	დ) 1AA : 1Aa : 1aa
--------------	--------------------	--------------------	--------------------

4. სურათზე ნაჩვენებია ალბინოსი და ნორმალური შეფერილობის ციყვი. ცვლელადობის რომელი ფორმა იწვევს ამ მოვლენას?



ა) მუტაციური	ბ) ონტოგენეზური	გ) მოდიფიკაციური	დ) კომბინაციური
--------------	-----------------	------------------	-----------------

5. სურათზე მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით განსაზღვრეთ საწყის მცენარეთა (P) გენოტიპები.



ა) AA x aa	ბ) Aa x Aa	გ) Aa x aa	დ) AA x AA
------------	------------	------------	------------

6. წიწაკაში ნაყოფის ფორმა (სფერული ან გრძელი) და შეფერილობა (წითელი ან ყვითელი) მემკვიდრული ნიშნებია. სურათზე მოცემული შედეგის მიხედვით განსაზღვრეთ როგორი სახის გამეტები წარმოიქმნება მშობლებში.




ა) AB და ab	ბ) aB და Ab	გ) AB და aB	დ) ab და Ab
-------------	-------------	-------------	-------------

7. ილუსტრაციაზე მოცემულია დიპლოიდური და პოლიპლოიდური მცენარეები. ჩამოთვლილთაგან რომელი ცვლელადობა იწვევს პოლიპლოიდების წარმოქმნას?




ა) ონტოგენეზური	ბ) კომბინაციური	გ) მოდიფიკაციური	დ) მუტაციური
-----------------	-----------------	------------------	--------------

8. სურათზე მოცემულია სახამთროს ნაყოფის შეფერილობისა და ფორმის მემკვიდრეობა. იხელმძღვანელებით მოწოდებული ინფორმაციით და განსაზღვრეთ როგორი ფენოტიპური დათიშვა მიიღება F2 -ში.




ა) 3 : 1	ბ) 1 : 2 : 1	გ) 9 : 3 : 3 : 1	დ) 1 : 1 : 1 : 1
----------	--------------	------------------	------------------

9. ბარდაში თესლის შეფერილობა და ფორმა მემკვიდრული ნიშნებია. მოწოდებული ინფორმაციით დაადგინეთ როგორი გენოტიპები შეიძლება ჰქონდეთ F2-ში მიღებულ ყვითელი, ნაოჭიანი თესლის მქონე ჰიბრიდებს.



ა) AAbb და Aabb	ბ) ყველას Aabb	გ) ყველას AAbb	დ) Aabb და aabb
-----------------	----------------	----------------	-----------------

10. სურათზე მოცემულია პომიდორში ნაყოფის შეფერილობისა (წითელი, ყვითელი) და ფორმის (სფეროსებრი, ოვალისებრი) მემკვიდრეობა. მოწოდებული ინფორმაციით განსაზღვრეთ მშობლების გენოტიპები.



ა) aaBB x AABb	ბ) AaBb x AaBb	გ) AABB x aabb	დ) aaBB x AAbb
----------------	----------------	----------------	----------------

11. სურათზე მოცემულ ბაიას წყალში მოთავსებული და წყლის ზედაპირზე მოტივტივე ფოთლები განსხვავებული აქვს. ამდაგვარ ცვლელადობას უწოდებენ:



ა) მუტაციურს	ბ) მოდიფიკაციურს	გ) კომბინაციურს	დ) ონტოგენეზურს
--------------	------------------	-----------------	-----------------


12. სურათზე ციფრებით აღნიშნულია ბარდის F2-ში მიღებული დათიშვის თანაფარდობა. განსაზღვრეთ მშობლების (P) გენოტიპები.



ა) AaBb x AaBb	ბ) AaBb x aabb	გ) AaBB x AABb	დ) AABB x aabb
----------------	----------------	----------------	----------------

## საატესტატო გამოცდები

13. დალტონიზმი სქესთან შეჭიდული რეცესიული ნიშანია. როგორი ფენოტიპის შვილები ეყოლება სურათზე მოცემულ ცოლ-ქმარს?




- ა) მხოლოდ ვაჟები იქნებიან დაავადებული
- ბ) მხოლოდ გოგონები იქნებიან დაავადებული
- გ) ყველა შვილი იქნება ჯანმრთელი
- დ) ყველა შვილი იქნება დაავადებული

14. ოჯახში ოთხი შვილიდან მხოლოდ ერთია ჰემოფილით დაავადებული, იხელმძღვანელებით მოწოდებული სქემით და განსაზღვრეთ მშობლების გენოტიპები.



- ა)  $X^H X^h \times X^H Y$
- ბ)  $X^H X^H \times X^H Y$
- გ)  $X^H X^h \times X^h Y$
- დ)  $X^H X^H \times X^h Y$

15. იხელმძღვანელებით ილუსტრაციით და განსაზღვრეთ რა წარმოიქმნება უშუალოდ ზიგოტიდან?



- ა) ბლასტომერები
- ბ) ბლასტულა
- გ) გასტრულა
- დ) ნეირულა

16. უსქესო გამრავლების ხერხებია:

I - დაკვირტვა II- სპორებით გამრავლება III- სხეულის ფრაგმენტაცია

- ა) მხოლოდ I და II
- ბ) მხოლოდ I და III
- გ) მხოლოდ II და III
- დ) I,II,III

17. ჩამოთვლილთაგან რომელს გადააქვს ამინომჟავები რიბოსომაში?

- ა) დნმ-ს
- ბ) ი-რნმ-ს
- გ) რ-რნმ-ს
- დ) ტ-რნმ-ს

18. ჩამოთვლილთაგან ტრანსლაციის პროცესში რომელი წარმოადგენს მატრიცას?

- ა) დნმ
- ბ) ი-რნმ
- გ) ტ-რნმ
- დ) რ-რნმ

19. ჩამოთვლილთაგან რომელია ბუნებრივი გადარჩევის ხელშემწყობი წინაპირობა?

- ა) არსებობისათვის ბრძოლა
- ბ) მემკვიდრეობითობა
- გ) მოდიფიკაციური ცვალებადობა
- დ) არაცოცხალი გარემოს არახელსაყრელი პირობები

20. ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოიქმნება მიკროეოლუციის შედეგად?

- ა) ახალი სახეობა
- ბ) ახალი გვარი
- გ) ახალი კლასი
- დ) ახალი ტიპი

21. მფარველობითი შეფერილობის მაგალითია:

- ა) ბუზის მსგავსება კრაზანასთან
- ბ) მწვანე კალიების მიმსგავსება ბალახის ფერთან
- გ) ჭიამაის მკვეთრი შეფერილობა
- დ) ობობას მიმსგავსება ჭიანჭველასთან

22. ჩამოთვლილთაგან მორფოლოგიურ ადაპტაციას მიეკუთვნება:

- ა) შემოდგომის ფოთოლცვენა
- ბ) წეროების მიმოფრენა
- გ) არქტიკაში დათვის თეთრი შეფერილობა
- დ) ბუმბულის სეზონური ცვლა

23. ჩამოთვლილი ცხოველებიდან რომლის სხეულის ტემპერატურა არის დამოკიდებული გარემოს ტემპერატურაზე?

- ა) ლომის
- ბ) სპილოს
- გ) არწივის
- დ) ხვლიკის

24. ჩამოთვლილი ცხოველებიდან რომელი წარმოადგენს ეკოლოგიური პირამიდის II დონეს?

- ა) მგელი
- ბ) ტურა
- გ) შველი
- დ) მელა

25. ნეიტრალიზმის მაგალითია ურთიერთდამოკიდებულება:

- ა) მგელსა და ირემს შორის
- ბ) კოდალასა და კურდღელს შორის
- გ) ზვიგენსა და ქაშაყს შორის
- დ) ტუბერკულოზის ჩხირსა და ადამიანს შორის

26. მოწოდებულ ილუსტრაციაზე რომელი ასოთია აღნიშნული აბიოტური ფაქტორი?



- ა) A
- ბ) B
- გ) C
- დ) D

27. ილუსტრაციაზე რომელი ასოთია აღნიშნული შიდასახეობრივი ბრძოლა?




- ა) A
- ბ) B
- გ) C
- დ) D

28. განსაზღვრეთ კვებით ჯაჭვში რგოლების სწორი თანამიმდევრობა.




- ა) BCA
- ბ) ABC
- გ) BAC
- დ) CAB

29. მოწოდებულ სურათზე მიტოზის ფაზები აღნიშნულია ციფრებით. რომელი ციფრით არის აღნიშნული მეტაფაზა?



- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4

30. სურათზე მოცემული ორგანიზმებიდან რომელი მრავლდება დაკვირტვით?



- ა) A
- ბ) B
- გ) C
- დ) D

### პასუხები

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ა		X		X	X				X					X	X
ბ	X					X					X				
გ			X					X					X		
დ							X			X	X				
	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
ა				X	X										
ბ			X			X				X	X	X		X	X
გ							X		X				X		
დ	X	X						X							

ტესტი იბეჭდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით

# ქიმია

## ქიმიის დავალებათა ნიმუშები

1. რომელი ქიმიური ელემენტი გამოსახული საბავშვო საღებავი რეზინის ეტიკეტზე?



- ა) კალიუმი
- ბ) კალციუმი
- გ) კადმიუმი
- დ) კალა

2. მარმარილოს ძირითადი შემადგენელი ნაწილია ნივთიერება, რომლის ფორმულაა:  $\text{CaCO}_3$   
ეს ნივთიერება მიეკუთვნება


- ა) ფუძე ოქსიდებს
- ბ) მჟავა ოქსიდებს
- გ) ფუძეებს
- დ) მარილებს

3. რომელია აზოტ(IV)-ის ოქსიდის ქიმიური ფორმულა?

- ა) NO
- ბ)  $\text{NO}_2$
- გ)  $\text{N}_2\text{O}$
- დ)  $\text{N}_2\text{O}_5$

4. რამდენი ელექტრონი აქვს ფოსფორის ატომს გარე ელექტრონულ შრეზე?

- ა) 1
- ბ) 3
- გ) 5
- დ) 7




5. მოცემულია რეაქციის ტოლობა:




ტოლობაში გამოტოვებული ნაერთის ფორმულა იქნება

- ა)  $\text{BaSO}_3$
- ბ)  $\text{Ba}_2\text{SO}_3$
- გ)  $\text{BaSO}_4$
- დ)  $\text{Ba}_2\text{SO}_4$

6. A, B, C და D ელემენტებს უმაღლეს ჟანგბადნაერთებში ერთნაირი ვალენტობა აქვთ. როგორია პერიოდულ სისტემაში ამ ელემენტების ურთიერთგანლაგება?



7. ჰეპტანის წვის რეაქციაა:




გათანაბრების შემდეგ ჟანგბადის კოეფიციენტი იქნება

- ა) 4
- ბ) 8
- გ) 11
- დ) 22

8. ნაერთში MgO ჟანგბადის მასური წილია

- ა) 20%
- ბ) 40%
- გ) 50%
- დ) 60%

9. მოცემულია ჟანგვა-აღდგენის რეაქცია:



ამ რეაქციის დროს ..... იჟანგება, ხოლო ..... აღდგება.


- ა) ალუმინი / ქლორი
- ბ) ალუმინი / წყალბადი
- გ) ქლორი / ალუმინი
- დ) წყალბადი / ალუმინი

10. რომელ ფორმულებშია სწორად მითითებული გოგირდის ჟანგვის ხარისხი?




- ა) I და III
- ბ) I და IV
- გ) II და III
- დ) II და IV

11. როგორი სახის ბმის წარმოქმნაა ნაჩვენები მოცემულ სქემაზე?



- ა) იონური ბმის
- ბ) წყალბადური ბმის
- გ) არაპოლარულ-კოვალენტური ბმის
- დ) პოლარულ-კოვალენტური ბმის

12. ჭარბ მარილმჟავაში მარმარილოს ნატეხი მთლიანად იხსნება და შეინიშნება აირის გამოყოფა. ვთქვათ, გვაქვს მარმარილოს 3 სხვადასხვა ზომის ნატეხი.




მოცემულია 3 შემთხვევა:

- I – მარილმჟავაში მოთავსებულია A ნატეხი
- II – მარილმჟავაში მოთავსებულია  $a_1$  ნატეხი
- III – მარილმჟავაში მოთავსებულია  $a_1$  და  $a_2$  ნატეხები.

რომელ შემთხვევაში იქნებოდა აირის გამოყოფის სიჩქარე უფრო მაღალი?

- ა) I შემთხვევაში
- ბ) II შემთხვევაში
- გ) III შემთხვევაში
- დ) სამივე შემთხვევაში ერთნაირი სიჩქარით გამოიყოფოდა

13. გრაფიკზე მოცემულია ქიმიური რეაქციის დროს A, B და C ნივთიერებების კონცენტრაციის დამოკიდებულება დროზე:



ამ გრაფიკიდან გამომდინარე, ქიმიური რეაქციის დროს:

- ა) A-დან მიიღება B, ხოლო C კატალიზატორია
- ბ) A-დან მიიღება C, ხოლო B კატალიზატორია
- გ) C-დან მიიღება A, ხოლო B კატალიზატორია
- დ) C-დან მიიღება B, ხოლო A კატალიზატორია



საატესტატო გამოცდები

14. ელექტროსადენების აალებისას ხანძრის ჩასაქრობად იყენებენ სპეციალურ ცეცხლმაქრს, რომლის ბალონშიც დაჭირხნული აირია.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ეს აირი?




- ა) წყალბადი
- ბ) ჟანგბადი
- გ) ნახშირბად(II)-ის ოქსიდი
- დ) ნახშირბად(IV)-ის ოქსიდი

15. ნატრიუმის ნაჭერი წყალში ჩააგდეს. რეაქციის შემდეგ ხსნარში ჩააწვეთეს ინდიკატორი ლაკმუსი. ხსნარი გალურჯდა.

ჩამოთვლილთაგან რომელი ნივთიერების წარმოქმნამ გამოიწვია ხსნარის ასეთი შეფერვა?

- ა) მჟავა ოქსიდის
- ბ) ტუტის
- გ) ფუჟე მარილის
- დ) საშუალო მარილის


16. მოცემულია ქიმიური რეაქცია:



რამდენი მოლი მარილი მიიღება, თუ რეაქციაში შევა 1 მოლი NaOH?


- ა) 1/3 მოლი
- ბ) 2/3 მოლი
- გ) 1 მოლი
- დ) 3 მოლი

17. მოცემულია ორი ალკანი: რას წარმოადგენს ისინი ერთმანეთისთვის?




- ა) იზომერებს
- ბ) ჰომოლოგებს
- გ) იზოტოპებს
- დ) ალოტროპებს

18. ნახშირბადოვანი ჩონჩხის რომელი სქემატური გამოსახულება შეესაბამება აცეტილენის რიგის ნახშირწყალბადს?



19. მოცემულია ერთ-ერთი ნახშირწყალბადის ბურთულაოვანი მოდელი: რომელი ზოგადი ფორმულის მქონე ნახშირწყალბადებს მიეკუთვნება ეს ნაერთი?



- ა)  $\text{C}_n\text{H}_{2n+2}$
- ბ)  $\text{C}_n\text{H}_{2n}$
- გ)  $\text{C}_n\text{H}_{2n-2}$
- დ)  $\text{C}_n\text{H}_{2n-6}$

20. ჩამოთვლილთაგან რომელია არომატული ამინი?

- ა)  $\text{NH}_3$
- ბ)  $\text{CH}_3\text{NH}_2$
- გ)  $\text{C}_2\text{H}_5\text{NH}_2$
- დ)

სწორი პასუხები

- |        |        |
|--------|--------|
| 1 - ბ  | 11 - გ |
| 2 - დ  | 12 - გ |
| 3 - ბ  | 13 - გ |
| 4 - გ  | 14 - დ |
| 5 - გ  | 15 - ბ |
| 6 - ბ  | 16 - ა |
| 7 - გ  | 17 - ა |
| 8 - ბ  | 18 - დ |
| 9 - ბ  | 19 - ა |
| 10 - დ | 20 - დ |

ტესტი იბეჭდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით

ინფორმაცია

საერთაშორისო ოლიმპიადაებში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ლია გიგაურმა** და სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორმა **სულხან სისაურმა** ინფორმატიკის, ბიოლოგიის, მათემატიკისა და ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადაებში გამარჯვებულ მოსწავლეებს, სამინისტროს სახელმძღვანელო, ფულადი ჯილდოები გადასცეს.

**გიორგი გულიაშვილმა** (დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი) ინფორმატიკის 25-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე (IOI 2013), რომელიც ავსტრალიაში ჩატარდა, ვერცხლის მედალი აიღო. სამინისტრომ იგი 3 000 ლარის ფულადი პრემიით დააჯილდოვა. ამავე ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლები აიღეს: **ჯიმშერ სხირტლაძემ**, **ნიკოლოზ სვანიძემ** (თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა) და **თორნიკე მანჭულაშვილმა** (ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლა), მათ ჯილდოდ 2000-2000 ლარი მიიღეს.

**ნანული გვაზავა** (აბაშის №1 საჯარო სკოლა) შვეიცარიაში გამართულ ბიოლოგიის 24-ე საერთაშორისო ოლიმპიადას (IBO 2013) ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა, მას 2 000 ლარი ფულადი ჯილდო გადაეცა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრები ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადაში მხოლოდ მესამე წელია მონაწილეობს და ეს ჯილდო პირველია.

მათემატიკის 54-ე საერთაშორისო ოლიმპიადა (IMO 2013) წელს კოლუმბიაში ჩატარდა, სადაც **აკაკი მარგველაშვილმა** (ქ. ქუთაისის ა. რაზმაძის სახ. №41 საჯარო სკოლა) და **გიორგი სვანაძემ** (თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა) ბრინჯაოს მედლები აიღეს,

მათ 2000-2000 ლარი გადაეცათ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, საერთაშორისო ოლიმპიადაებისთვის ნაკრები გუნდების შერჩევა-მომზადებასა და მონაწილეობას შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი უზრუნველყოფს. გუნდები, ტრადიციულად, ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადაებში წარმატებული მოსწავლეებისაგან დაკომპლექტდა. მათ დამატებითი შესარჩევი წერილი ტურები გაიარეს. 4 ნაკრების 19 მოსწავლეს სპეციალური მომზადების ერთთვიანი ინტენსიური კურსი ჩაუტარდა - ექვსსაათიანი თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, ყოველდღიურ რეჟიმში, თბილისსა და დაბა ბაკურიანში. მოსწავ-

ლეები მაღალკვალიფიციურ და გამოცდილ მეცნიერთა ჯგუფებმა საერთაშორისო ოლიმპიადაების კომიტეტების მიერ დადგენილი პროგრამებით მოამზადეს.

მოსწავლეთა ნახალისების მიზნით, სამინისტრო სხვადასხვა პროგრამებს ახორციელებს, მათ შორისაა ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა. სამინისტრო ასევე წარმატებით ახორციელებს პროექტს, რომელიც მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადაებზე წარგზავნას ითვალისწინებს და საიდანაც ჩვენი ნაკრებების წევრები კარგი შედეგებით, შესაბამისი მედლებითა და სიგელებით ბრუნდებიან. წარმატებული მოსწავლეების ნახალისებას სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს.



ინფორმაცია

# კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი 2013“ იწყება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი აცხადებს მოსწავლე-გამომგონებელთა საერთაშორისო კონკურსს „ლეონარდო და ვინჩი 2013“.

საკონკურსო პროგრამის დეტალებზე მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა და სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა სპეციალურ ბრიფინგზე ისაუბრეს.

კონკურსი გამოავლენს და ნახალისებს შემოქმედებითი აზროვნების, გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოებულ მოზარდებს და ხელს შეუწყობს მათი ინოვაციური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

კონკურსში მონაწილეობა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებს შეუძლიათ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. მსურველებს ნამუშევრების ელექტ-

რონული დარეგისტრირება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ფონდის ვებგვერდებზე – [www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge), [www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge) – შეეძლება. წარმოდგენილი პროექტი უნდა მოიცავდეს გამომგონების როგორც ტექსტურად აღწერილობას, ასევე შესაბამის მაკეტს, მოდელს ან ნახაზებს. ელექტრონული რეგისტრაცია 1 ნოემბერს დასრულდება, ხოლო ნამუშევრების ფონდში წარდგენა – 11 ნოემბერს.

კონკურსის გამარჯვებულებს კომპეტენტური ჟიური დეკემბერში სპეციალურად მოწყობილ გამოფენაზე გამოავლენს. გამარჯვებული პროექტების ავტორები დაჯილდოვდებიან მედლებითა და ფულადი პრემიებით: I ადგილზე გასული პროექტის წარმომდგენს – 5000 ლარი გადაეცემა, II ადგილზე – 3 000 ლარი, III ადგილზე – 2 000 ლარი. გრანპრის მფლობელი პროექტის ავტორი ან ავტორები, შემეცნებითი ტურით, საზღვარგარეთ გაემგზავრებიან.



## წარჩინებულ მოსწავლეს კომპიუტერები გადაეცა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ თამარ სანიკიძემ და მინისტრის მოადგილემ თამაზ მარსაგიშვილმა თბილისის საჯარო სკოლების 302 მეათეკლასელ მოსწავლეს, რომელთაც წარჩინებით დაამთავრეს საბაზო საფეხური (VII-IX კლასები), პერსონალური კომპიუტერები გადასცეს.

საქართველოს მასშტაბით კომპიუტერებით სულ 1468 წარმატებული მოსწავლე დაჯილდოვდება. 2013 წელს, პროგრამის ბენეფიციარებად განისაზღვრნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომელთაც გასულ სასწავლო წელს საბაზო საფეხური დაასრულეს და მა-

თი საფეხურის ნიშანია 10 ქულა (დამრგვალების გარეშე).

მოსწავლეთა ნახალისების პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლა/სწავლების მეთოდების გაძლიერებას. პროექტი, თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდით, ყველა ნიჭიერ და შრომისმოყვარე მოზარდს სწავლის თანაბარ პირობებს უქმნის.

## გაიმართა ფესტივალი

### „პროფესიული განათლება დასაქმებისთვის“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებითა და სააქციო საზოგადოება „ლიბერთი ბანკის“ მხარდაჭერით, გაიმართა ფესტივალი „პროფესიული განათლება დასაქმებისთვის“, რომელშიც მონაწილეობდა პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი 30-მდე დაწესებულება, მათ შორის იყვნენ როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სასწავლებლები. ფესტივალის მიზანი იყო დაინტერესებული პირებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, მათი პროგრამების, დაფინანსების მოპოვებისა და სხვა საინტერესო დეტალების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ფესტივალში ასევე მონაწილეობდნენ დასაქმების ხელშემწყობი

სააგენტოს წარმომდგენლები ([jobs.ge](http://jobs.ge), [hrpg.ge](http://hrpg.ge), [hr.com](http://hr.com), [hrpartners.ge](http://hrpartners.ge)). ფესტივალზე მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ მთელი დღის განმავლობაში ადგილზე გაეცნოთ რეგისტრაცია მათთვის სასურველ პროგრამებზე, გაცნობოდნენ პროფესიული ტესტების ნიმუშებს, დაეთვლიერებინათ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ვიზუალური მასალა და მოესმინათ პრეზენტაციები. ფესტივალის მიმდინარეობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი და „ლიბერთი ბანკის“ გენერალური დირექტორი გიორგი არველაძე გაეცნენ.






ნიენის  
თარო

მიმდინარეობს

ხელმოწერა



კლასიკური შოეზია



სამი  
ტომის  
ფასი  
15 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი  
ცალის  
ფასი  
6.5 ლარი

1. ცისფერი ბაღვინები - დეზა
2. ჰორაციუსის ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწველთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-გაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რაინი
6. მენინები - ველასკესი

7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
9. უძლავი შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საპვირაო ბასეირნება, ბრან-შატის კუნძულზე - შორჟ სიორა

თემატური კლასიკები  
დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. ფორმები
5. გარეული ცხოველები
6. გარეული ფრინველები
7. პრეფიქსები
8. სილ-გოსტნული
9. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
11. ჰიბინის ნივთები
12. საოჯახო ნივთები
13. ტრანსპორტი
14. წყლის ბინადრები
15. ინგლისური ანბანი
16. რუსული ანბანი

ერთი  
ცალის  
ფასი  
2.5 ლარი

თემატური  
კლასიკები მატალი  
კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საბარტოლომეო
3. გარეული ცხოველები საბარტოლომეო
4. მწერები
5. ძველადი ხალხური საკრებები
6. ძველადი საბარტოლომეო
7. საბარტოლომეო მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნივთები - სიტყვების წყარო
11. კველი რეზი
12. მსოფლიოს დროები
13. ზღვის დინებები
14. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
15. საგზაროს წარმოშობა
16. ძველადი მეთოდის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი სოცერება

ერთი  
ცალის  
ფასი  
3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

- |                          |                             |                        |
|--------------------------|-----------------------------|------------------------|
| 1. მიხეილ ჯავახიშვილი    | 10. იოსებ გრიგაშვილი        | 19. აკაკი წერეთელი     |
| 2. გიორგი ლეონიძე        | 11. პულიკარე კაკაბაძე       | 20. რუსთაველი          |
| 3. ირაკლი აბაშიძე        | 12. გურამ რჩეულიშვილი       | 21. თეიმურაზ I         |
| 4. ნოდარ დუმბაძე         | 13. იაკოვ სუცევი            | 22. ვახტანგ VI         |
| 5. მირზა ბელოვანი        | 14. იონა საბანიძე           | 23. გიორგი მერჩულე     |
| 6. აკაკი ბაძრაძე         | 15. დავით გურამიშვილი       | 24. გრიგოლ ორბელიანი   |
| 7. ვასილ ბარნოვი         | 16. ზენიძე                  | 25. დავით აღმაშენებელი |
| 8. პაულო იაშვილი         | 17. რევაზ ინანიშვილი        | 26. გურამ ასათიანი     |
| 9. სულხან-საბა ორბელიანი | 18. ალექსანდრე შავჭავჭავაძე | 27. გრიგოლ როგაძიძე    |

ერთი  
ცალის  
ფასი  
4 ლარი

„ასოფლიო ლიტერატურის ქალაქი“


მიმდინარეობს ხელმონერა. შემოგვიერთდით!



- ალბერტო მორავია - მოწყენილობა
- ჯეიმზ ფ. კუპერი - ჯაშუში
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - დონ კინოსტის დაბრუნება
- მარგარეტ ღიურასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
- ალბერ კოენი - დედაჩემი
- ჯონ გოლდსმორთი - რჩული მოთხრობები
- პროსპერ მერიმე - ილევი ვენერა
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯონ ბარიდნი - გზა ელიტისაკენ
- ჯეკ ლონდონი - დიდი სხლის პატარა დინასხლისი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო

- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ძალთა ბედნიერება
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სხლის ჩანაწერები
- ჰენრი რაილერ ჰაბარდი - მოთხრობები ასული
- სტენდალი - ნითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - სამი მემოარი
- შოლერლო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტაფან ცვიგი - მოთხრობები გულისა
- მაინ რიდი - კვარტარონი
- ვილჰელმ ჰაუზი - ლისტენბინი
- თეოდორ დრაიზერი - დიკო კერი
- ნიკოლაი გოგოლი - რჩული მოთხრობები
- გუსტავ ფლოპერი - მამა გორიო

თითო ტომის ფასი - 12 ლარი



კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი თამაზ ვასაძე  
~~11~~ 9 ლარი



ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი  
თამარ ბეროზაშვილი  
10 ლარი

გამოცემლობა „ლიოგენსა“ და გაზეთ „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი




მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია  
~~45~~ 35 ლარი




საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია  
~~30~~ 26 ლარი




ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია რენესანსიდან დღემდე  
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომიანი  
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი  
5.70 ლარი



„რა არის რა“ 50-ტომიანი ერთი ტომის ფასი ნახვლად 11 ლარისა 9 ლარი

- ❖ მსოფლიოს 7 საოცრება
- ❖ ავტომობილი
- ❖ აბინდი
- ❖ დიდი ალმონები
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამომგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები

- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურანი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩამირული ძალაძები
- ❖ ძივია
- ❖ მემორები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა

ქართული მწერლები

- ❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომიანი), I-V ტომი - 11 ლარი
- ❖ მინაილ ჯავახიშვილი (7-ტომიანი), I-VII ტომი - 11 ლარი
- ❖ ლევან გომთუზ (7-ტომიანი), I-II ტომი - 16 ლარი
- ❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომიანი), I-II ტომი - 15 ლარი
- ❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომიანი), I, VI, VII, VIII ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომიანი), I-V ტომი - 12 ლარი
- ❖ ოტია იოსელიანი (10-ტომიანი), I-X ტომი - 12 ლარი
- ❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომიანი), I-VI ტომი - 10 ლარი
- ❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომიანი), I-V ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმონერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:  
მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735  
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22  
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმონერები!



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტატილაშვილის ქ. №3  
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.  
www.axaliganatleba.ge  
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735  
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >